დაიცავით თქვენი ბავშვი ვაქცინებით

უფასო ვაქცინები თქვენი ბავშვისთვის იცავს მას ინფექციური დაავადებებისგან, ყოველდღე.

რატომ უნდა გავუკეთო ვაქცინა ჩემს ბავშვს?

საბავშვო ვაქცინები უკეთდებათ ბავშვებს ირლანდიაში და მთელ მსოფლიოში მრავალი წლის განმავლობაში. კვლევები გვეუბნება, რომ ისინი უსაფრთხოა და რომ ისინი მუშაობენ.

ვაქცინები საუკეთესო და ყველაზე უსაფრთხო გზაა თქვენი ბავშვების დაცვისთვის სერიოზული ინფექციებისგან.

დროს აქვს მნიშვნელობა?

საუკეთესო გზა დაიცვათ თქვენი ბავშვებიამ დაავადებებისგან არის ის, რომ უზრუნველყოთ მათთვის ყველა ვაქცინის დროულად მიცემა.

ყველაზე უკეთესია გეგმის მიხედვით მოქმედება,ვაქცინის მიცემის ყოველი დაყოვნება თქვენს ბავშვს რისკის ქვეშ აყენებს.

დიცავენ ვაქცინებიჩემს ბავშვს დაავადებებისგან?

ვაქცინები იცავენ თქვენს ბავშვს 14 ინფექციური დაავადებისგან. ეს დაავადებები არ გამქრალან.

ჩვილები და პატარა ბავშვები უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან სერიოზულად ავად გახდნენ ინფექციებისგან, რადგან მათი იმუნური სისტემებიჯერ არ არის სრულად განვითარებული.



რა ღირს ვაქცინები?

ირლანდიაში, ვაქცინები ბავშვებისთვისუფასოა ყველა ბავშვისთვის მათი ოჯახის ექიმის პრაქტიკის საშუალებით.

ყველა ბავშვის დროულად ვაქცინაციით,თქვენ აძლევთ მათ საუკეთესო დაცვას იმ დროს, როცა ის ყველაზე მეტად სჭირდებათ.

რა მოხდება, თუ გამოვტოვებ ვიზიტს?

თუ თქვენმა ბავშვმა გამოტოვა რომელიმე ვაქცინა, მას კვლავ შეუძლია წამოეწიოს განრიგს. გაესაუბრეთ თქვენს ოჯახის ექიმს ან მის ექთანს. ისინი უზრუნველყოფენ, რომ თქვენმა ბავშვმა აინაზღაუროს ის ვაქცინა, რომელიც სჭირდება.

თუ თქვენი ბავშვი ირლანდიაში მოვიდა სხვა ქვეყნიდან, მას შეუძლია ასევე მიიღოს გამოტოვებული ვაქცინები, რომლებიც რეკომენდებულია ირლანდიაში.

გახსოვდეთ ხუთი ვიზიტი თქვენს ოჯახის ექიმთან

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს
www.immunisation.ie

ვაქცინები თქვენი ბავშვისთვის

ბავშვები, დაბადებული 2024 წლის 1 ოქტომბერს ან შემდეგ

რომელ ვაქცინებს მიიღებს ჩემი ბავშვი?

ვიზიტი 1 – 2 თვეში

6 1-ში+PCV+MenB+Rotavirus
3 ინექცია + პერორალური წვეთები



ვიზიტი 2 – 4 თვეში

6 1-ში+MenB+Rotavirus
2 ინექცია +
პერორალური წვეთები

ვიზიტი 3 – 6 თვეში

6 1-ში+PCV
2 ინექცია
8 თვის და 0 დღის
შემდეგ როტავირუსის
ვაქცინ არ არის

ვიზიტი 4 – 12 თვეში

MMR+MenB+ჩუტყვავილა
3 ინექცია

ვიზიტი 5 – 13 თვეში

6 1-ში+MenC+PCV
3 ინექცია

თუ გადმოხვედით საცხოვრებლად ირლანდიაში

თუ თქვენი ბავშვი ირლანდიაში ჩავიდა სხვა ქვეყნიდან, მან უნდა მიიღოს ირლანდიაში რეკომენდებული ვაქცინები. ეს მას იცავს დაავადებებისგან, რომლებიც უფრო ხშირია ირლანდიაში. ოჯახის ექიმი ან ზოგადი პრაქტიკის ექთანი გეტყვით, რომელი ვაქცინები შეიძლება დასჭირდეს თქვენს ბავშვს.

აბრევიატურები და მათი განმარტებები

6 1-ში	დიფტერია, Haemophilus influenzae b (Hib), B ჰეპატიტი, ყივანახველა, პოლიო და ტეტანუსი
PCV	პნევმოკოკური კონიუგატი
როტავირუსი	როტავირუსის პერორალური ვაქცინა
MenB	მენინგოკოკური B
MMR	წითელა, ყბაყურა, წითურა
ჩუტყვავილა (ვარიცელა)	ჩუტყვავილას ვაქცინა
MenC	მენინგოკოკური C

რას შეიძლება ველოდო მას შემდეგ, რაც ჩემი ბავშვი ვაქცინას მიიღებს?

- სიცხე ხშირია MenB ვაქცინის შემდეგ. გთხოვთ, თან იქონიოთ ჩვილის თხევადი პარაცეტამოლი თქვენს პირველ ორ ვიზიტზე. ეს დაეხმარება სიცხეს.
- ზოგჯერ ბავშვებს შეიძლება აღენიშნებოდეთ ტკივილი, შეშუპება და სიწითლე იმ ადგილას, სადაც ინექცია გაუკეთეს. დარწმუნდით, რომ ტანსაცმელი არ არის ძალიან მჭიდრო.
- მსუბუქი დიარეა ნორმალურია როტავირუსის ორალური ვაქცინის შემდეგ. მიეცით თქვენს ბავშვს ბევრი რძე. გულდასმით დაიბანეთ ხელები ბავშვის საფენის გამოცვლისა და გადაგდების შემდეგ.

ჩახუტება და კვება დაეხმარება თქვენს ბავშვს თავი უკეთ იგრძნოს ვაქცინაციის შემდეგ.

გახსოვდეთ, რომ თქვენს ბავშვს სჭირდება ოჯახის ექიმთან ხუთი ვიზიტი, რათა დავრწმუნდეთ, რომ ის სრულად არის დაცული.

დამატებითი ინფორმაციისთვის
ეწვიეთ immunisation.ie